ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ძალადობის პრევენციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

(2007 – 2008 წწ.)

თბილისი
2008

კვლევა განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო - საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით,
“შევაჩეროთ ძალადობა ოჯახში!” პროექტის ფარგლებში

ავტორები: **ირმა ალადაშვილი**
ნინო ჩიხლაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციაში.
კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 150 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გარცე-ლება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2008, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, რაც ქვეყანაში მშვიდობისა და სამართლიანობის გარანტია. შესაბამისად, ოჯახში ძალადობაც, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა, სახელმწიფოსგან ყურადღებას და სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს.

მრავალი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობა „შინაურ“ საქმედ განიხილებოდა და სახელმწიფოც თავს იკავებდა ამგვარ საქმეებში ჩარევისგან, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/მსხვერპლების მდგომარეობას.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. მეცნიერული კვლევების მიხედვით,[1] ოჯახში ძალადობა ძალაუფლებისა და კონტროლის **დამყარების/მოპოვების მიზნით** ხდება და მოიცავს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა.

დაუსჯელობის და უდანაშაულობის განცდა აძლიერებს მოძალადეს ოჯახში. ნებისმიერ შემთხვევაში, ოჯახში თუ მის გარეთ, ძალადობა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, რომელიც უნდა აღიკვეთოს და ამაში სახელმწიფოს გარკვეული როლი აკისრია.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობები შედარებით ახალი ფენომენია. თუმცა, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საჭიროა სპეციალური კანონების შექმნა დაცვის კონკრეტული მექანიზმებითა და პროცედურებით, სულ უფრო და უფრო ვითარდება. ამ კუთხით საქართველოც არ არის გამონაკლისი.

ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს ხელისუფლებამ ოჯახში ძალადობის პრობლემა აღიარა, რაც გამოხატა 2006 წლის 25 მაისს სპეციალური კანონის მიღებით **„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“**. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2006 წლის 9 ივნისს. კანონის თანახმად, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური,

[1] ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, ინოსენტი დაიჯესტი, №6, 2000; ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო, 2004.

ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით".[2] ამით საქართველოს კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რითაც მომზადდა იურიდიული საფუძველი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოსაცემად.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის მიზანია:

ა) შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები;

ბ) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის;

გ) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;

დ) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;

ე) უზრუნველყოს სხვადასხვა ინსტიტუტს შორის თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.[3]

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის ხუთ ფორმას განსაზღვრავს:

ფიზიკური ძალადობა;

ფსიქოლოგიური ძალადობა;

ეკონომიკური ძალადობა;

სექსუალური ძალადობა;

იძულება.

საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადესათვის

[2] საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 3.

[3] საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 2.

გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, **დამცავ და შემაკავებელ ორდერებს** იყენებს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე რიგ საკანონმდებლო აქტებში შევიდა ცვლილება/დამატებები. კერძოდ, ესენია:

- **ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი**

  ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII[3] თავი „ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით“.[4] აღნიშნული თავი განსაზღვრავს დამცავი ორდერის **გამოცემის/გასაჩივრებისა და შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან** დაკავშირებულ პროცედურებს. ასევე, არეგულირებს დამცავი და შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელ საკითხებს.

- **პოლიციის შესახებ კანონი**

  აღნიშნული კანონით პოლიციის მოვალეობების განმსაზღვრელ მუხლს (მუხლი 8) დაემატა პუნქტი (გ[1]), რომლითაც პოლიციის კომპეტენციის ფარგლებში შევიდა ოჯახში ძალადობისაგან დამცავი ორდერით გათვალისწინებული შეზღუდვებს გაკონტროლება.[5] ასევე, პოლიციის უფლებების განმსაზღვრელ მუხლს (მუხლი 9) დაემატა პუნქტი (დ[1])[6], რომლის თანახმად, პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალოდ დაფიქსირებისთანავე შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლება მიეცა.

- **იარაღის შესახებ კანონი**

  კანონის მე-10 მუხლს დაემატა მესამე ნაწილი,[7] რომლის თანახმადაც, მოძალადეს დამცავი ორდერის მოქმედების ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში ეკრძალება იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) ტარება.

ასევე, 2006 წლის 11 სექტემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით (№1079) დამტკიცდა შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები და განისაზღვრა აღნიშნული ფორმების შემდგენელ პირთა წრე.

---

[4] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (25.05.2006 №3145).
[5] პოლიციის შესახებ კანონი (25.05.2006 №3145).
[6] პოლიციის შესახებ კანონი (25.05.2006 №3145).
[7] პოლიციის შესახებ კანონი (25.05.2006 №3145).

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, რომელიც ეყრდნობა ოფიციალურ ინფორმაციას და რომლის მიზანია, განისაზღვროს, თუ რამდენად სრულყოფილად შესრულდა გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები თუ ღონისძიებები შესაბამისი ინსტიტუციების მხრიდან.

გარდა ამისა, წინამდებარე შეფასება ემსახურება სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ამ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, პოლიტიკური პარტიებისათვის, მედიის წარმომადგენლებისა და ყველა დაინტერესებული პირებისათვის.

ასევე, საგულისხმოა ის გარემოება, რომ წინამდებარე შეფასება ხელს შეუწყობს ახალი 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის მომზადებასა და კანონმდებლობის სრულყოფას ოჯახში ძალადობის კუთხით.

<u>კვლევის მეთოდოლოგია</u>

წინამდებარე კვლევაზე მუშაობისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით, 2008 წლის 19 სექტემბერს გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ყველა იმ უფლებამოსილი სამთავრობო სტრუქტურისა და დაწესებულებისაგან, რომლებიც მითითებულია, როგორც 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი და შემსრულებელი. კერძოდ, ესენია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს გენერალური პროკურატურა
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა

ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის სრული და ეფექტური იმპლემენტაციისათვის, რაც მოიცავს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასა და მსხვერპლთა რეაბილიტაციას, კანონის მიღებისთანავე შემუშავდა 2007-2008 წლების სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უნდა დაემტკიცებინა არაუგვიანეს 2006 წლის სექტემბრისა. თუმცა, დამტკიცდა დიდი დაგვიანებით – 2007 წლის 30 ივნისს საქართველოს მთავრობის განკარგულებით №406. სწორედ აღნიშნული გეგმის შესრულების მონიტორინგი წარმოადგენს წინამდებარე კვლევის მიზანს, რომელიც განხორციელდა ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

აღნიშნულ გეგმაში დასახულია 4 მიზანი, 4 ამოცანა, 8 საქმიანობა და განსაზღვრულია 8 შემსრულებელი.

წინამდებარე მონიტორინგი აგებულია ზემოაღნიშნულ სამოქმედო გეგმაში არსებული თითოეული მიზნის, ამოცანის და საქმიანობის შესრულების განხილვის საფუძველზე.

<u>მიზანი №1</u>

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

ამოცანა

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი ახალი ინსტიტუტებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

საქმიანობა №1.1

- *სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განხორციელებისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადება*

შემსრულებელი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბავშვთა დაცვისა და **დეინ**-სტიტუციონალიზაციის **სამთავრობო კომისია (არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადو**ბის საკითხებში);
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 1.1 საქმიანობასთან დაკავშირებით გვაცნობა, რომ მათი ინიციატივით რაიმე კანონქვემდებარე დოკუმენტის შემუშავება არ მომხდარა და არც სხვა უწყებებისგან მიუღიათ რაიმე საკანონმდებლო დოკუმენტი ან არსებულთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი.

რაც შეეხება **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,** მათ მიერ მოწოდებული პასუხი 1.1 საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ შეიცავდა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციაც 1.1 საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების აღწერას არ შეიცავდა.

კომენტარი: *შრომის, ჯანმრთელობისა და მეცნიერების სამინისტრომ 1.1 საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოგვაწოდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ამ კუთხით არ უმუშავია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციებში ამ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით პოზიტიური არაფერია ნათქვამი, რაც მიუთითებს სამინისტროების პასიურობაზე აღნიშნული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, რაც, საბოლოოდ, მოცემული საქმიანობის განუხორციელებლობაში გამოიხატება.*

1.1 საქმიანობა კი, რაც მოიცავს სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განხორციელებისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადებას, მნიშვნელოვანი კომპონენტია ოჯახში ძალადობის კანონის სრული და ეფექტური იმპლემენტაციისათვის. სოციალურ სამსახურს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აკისრია ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელების კუთხით და მოიცავს:

ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, ანალიზს და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას;

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას;

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა **რისკ-ჯგუფების გამოვლენასა და მათთან დაკავშირებული** *პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობას;*

დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას;

დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგს;

მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებასა და მათი განხორციელების ხელშეწყობას. [8]

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სახელმწიფო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები უშუალოდ სოციალური მომსახურების გზით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის უზრუნველსაყოფად. კანონი კი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ სოციალურ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა მოცემული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია როგორც ოჯახური დავების მიზეზების შესწავლის, ანალიზის და დავების დაძლევის, ასევე მსხვერპლისა და მოძალადისათვის ეფექტური სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ხელშეწყობა-განხორციელების კუთხით.

ნიშანდობლივია, რომ ოჯახში ძალადობის კანონის თანახმად, 2007 წლის 1 ივლისიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უკვე უნდა განესაზღვრა სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები და უნდა უზრუნველეყო შესაბამისი სოციალური მუშაკების მომზადება.[9] *სამოქმედო გეგმის მიხედვით, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მომზადება დაევალათ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამინისტროებს დღემდე ამ კუთხით მუშაობა არც კი დაუწყიათ.*

აღნიშნული საქმიანობა მოცემული გეგმის ფარგლებში, არ განხორციელდა.

აქედან გამომდინარე, შესაბამისი სოციალური მომსახურების გარეშე, კანონის სრულ და ეფექტურ იმპლემენტაციაზე საუბარი ნაადრევია.

---

[8] საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 8.

[9] საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 21.2.

საქმიანობა №1.2

- *არსებული სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი ლეგიტიმაცია*

შემსრულებელი: იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავრობა

კომენტარი: *გეგმით გათვალისწინებულ შემსრულებლებს 1.2 საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ მიერ ამ კუთხით რაიმე კონკრეტული ღონისძიებები არ გატარებულა.*

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური მომსახურება ოჯახში ძალადობის კანონის სრული და ეფექტური იმპლემენტაციისათვის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი სამსახურია, სწორედ ამიტომ 1.2 საქმიანობამ ასახვა ჰპოვა სამოქმედო გეგმაში, რაც განპირობებული იყო იმით, რომ სანამ მომზადდებოდა შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, მანამდე, არსებული სოციალური მუშაკებისათვის უნდა განსაზღვრულიყო დროებითი სტატუსი და ლეგიტიმაცია. სამწუხაროა, რომ აღნიშნული საჭიროება და მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეფასდა მთავრობის მიერ.

აქვე დავძენთ, რომ კანონის შესაბამისი სოციალური სამსახურის არარსებობა დიდი ხარვეზია ოჯახში ძალადობის კანონმდებლობისთვის.

საქმიანობა №1.3

- *თავშესაფრის სტანდარტების დამტკიცება*

შემსრულებელი:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ბავშვთა დაცვისა და **დეინსტიტუციონალიზაციის** **სამთავრობო კომისია (არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის** საკითხებში).

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისთვის აუცილებელი

მინიმალური სტანდარტები“, მომზადდა შესაბამისი ცვლილებები თავშესაფრის შექმნისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფასთან დაკავშირებით, თუმცა, აგვისტოს მოვლენების შემდგომ აღნიშნული ღონისძიებები დროებით გადაიდო. სამინისტრო იმედოვნებს, რომ საკითხი უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება.

კომენტარი: *დადებითი მოვლენაა, რომ შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ქვეყანას ჰქონდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. „ცენტრალური ბიუჯეტი“ ნიშნავს მდგრად და სიცოცხლისუნარიან თავშესაფარს.*

დღესდღეობით საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრები შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე.[10] მათი სტაბილურობა კი დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების დაფინანსებაზე (დონორთა „კეთილ ნებაზე“). შესაბამისად, ასეთი თავშესაფრები არამდგრადია, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია გრანტის პროექტის დასრულებით, ან თუნდაც გაგრძელების შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე ან დონეზე დაფინანსების წყვეტით, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს თავშესაფრების სტაბილურობაზე და აფერხებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ თავშესაფარს კი, მსგავსი არასტაბილურობა, ვფიქრობთ, ნაკლებად დაემუქრება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია (არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში)) 1.3 საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოუწოდებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ თავშესაფრის სტანდარტების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

კომენტარი: 1.3 საქმიანობის შემსრულებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია) მონაწილეობა იმიტომ განისაზღვრა სამოქმედო გეგმით, რომ აღნიშნულ კომისიას თავშესაფრის სტანდარტების შემუშავების დროს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, **არასრულწლოვნისთვის საჭირო პ**ირობებსა და მინიმალურ სტანდარტებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება, რაც, ვფიქრობთ, ამჟამად არასათანადოდ არის ასახული აღნიშნულ სტანდარტებში.

სამწუხაროა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოჯახში ძალადობის პრობლემის მიმართ ინდეფერენტულობას იჩენს.

[10] ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი; ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“; „საფარი“.

ინფორმირებულობა პრობლემატიკის (ოჯახში ძალადობა) თაობაზე

<u>მიზანი №2</u>

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით

ამოცანა

საზოგადოების ინფორმირებულობა

საქმიანობა №2.1

- *ოჯახში ძალადოგის პრევენციის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება; ოჯახში ძალადოგის პროგლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაგამისი სპეციალური ტრენინგების მოწყოგა მიზნოგრივი ჯგუფებისათვის: შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებისათვის, მოსამართლეებისათვის, ჯანდაცვის, განათლებისა და შესაგამისი სფეროს მუშაკთათვის.*

შემსრულებელი:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- პროკურატურის ორგანოები
- სასამართლო ორგანოები
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ იქნა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც დარიგდა საზოგადოებაში. საქმიანობის დახვეწისა და სიახლეების ეფექტურად დანერგვის მიზნით, პერმანენტულად მიმდინარეობს სპეციალური ტრენინგები მიზნობრივი ჯგუფისათვის. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას, სამინისტროს მხრიდან დამატებითი ფინანსური ძალისხმევის გარდა, ხელს უწყობს შინაგან საქმეთა სამინისტ-

როსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. სამინისტრო გამოგზავნილ წერილში ხაზს უსვამს არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, **შსს აკადემიაში ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს”** მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, სადაც ინსტრუქტორებად მოწვეულნი იყვნენ ლატვიელი ექსპერტები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით გამართულ სემინარს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხი ექსპერტები. ამას გარდა, 2008 წლის 7-11 ივლისს საქართველოს შსს აკადემიაში ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიება“, რომელიც მოიცავდა ოჯახში ძალადობის საკითხებსაც. მომზადება გაიარა შსს აკადემიის ექვსმა ინსტრუქტორმა, ექვსმა გამომძიებელმა და ერთმა პატრულ-ინსპექტორმა.

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის **საბაზისო კურსში უკვე გათვალისწინებულია** შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, დამცავი და შემაკავებელი ორდერი;
- ოჯახში ძალადობის კომპონენტები;
- ოჯახში ძალადობის სავარაუდო შედეგები;
- ოჯახში ძალადობის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.

კომენტარი: *ძალზედ მნიშვნელოვანია და მისასალმებელია პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამაში ოჯახში ძალადობის საკითხების გათვალისწინება და სწავლება. თუმცა, აქვე დავამატებთ, რომ პოლიციის აკადემიაში აღნიშნულ პროგრამას გადიან მხოლოდ ახალი თანამშრომლები. შესაბამისად, საჭიროა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელმა, მათ შორის, რეგიონების თანამშრომლებმაც, გაიარონ ტრენინგები აღნიშნულ საკითხებზე და მოხდეს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის დეტალური სწავლება. ჩვენი აზრით, სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა ამ მიმართულებით არაჯეროვანია, განსაკუთრებით რეგიონების მასშტაბით. თუმცა, აქვე დავამატებთ, რომ ვაფასებთ სამინისტროს თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან.*

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ იკვეთება 2.1 საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები.

გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ტრენინგ-ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ოჯახში ძალადობის თემასთან დაკავშირებული ტრენინგ-პროგრამა. ტრენინგი გათვლილია პროკურორებისათვის, რომლებიც წარმოდგენილ იქნებიან ყველა რაიონული პროკურატურიდან. აღნიშნული ტრენინგის ჩატარება იგეგმება 2008 წლის ბოლომდე, იმ ვადის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია სამოქმედო გეგმით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ერთობლივად დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ, ყველა რაიონიდან თითო-თითო **ინსპექტორ-გამომძიებელი და დეტექტივი. ასევე, ქ. თბილისის ხუთი რაიონ**ის საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი, რომლებმაც მოისმინეს კურსი ბავშვთა განვითარების თავისებურებებისა და პედაგოგიკის საკითხების მნიშვნელობაზე ბავშვთა აღზრდის პროცესში, ასევე, ძალადობაგანცდილ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის საკითხებში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნავს: „მსგავსი სახის ინტერაქტიული ტრენინგები, სადაც თეორიული, პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვით ხდება ბავშვის აღზრდის თავისებურებების ახსნა, ასევე, იმ ზეგავლენის მნიშვნელობაზე საუბარი, რომელიც აყალიბებს ბავშვის ცნობიერებას, მეტად ეფექტურია სფეროში ჩართული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ცოდნის ამაღლებისთვის. ამგვარი კუთხით დანახული არასრულწლოვანთა პრობლემები (ძალადობა ოჯახში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, ე.წ. **„ქუჩის ბავშვები", მზრუნველობამოკლებული ბავშვები) გაუადვილებს მათ არასრ**ულწლოვნებთან და მათ ოჯახებთან მუშაობასა და კომუნიკაციას."

სამინისტროს დაგეგმილი აქვს, მსგავსი სახის ტრენინგები ჩაუტაროს ყველა რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის — მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებსა და საჯარო სკოლათა პედაგოგებს ქვეყნის მასშტაბით.

სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამგვარი **სრულმასშტაბიანი კამპანია საშუალებას მისცემს ყვე**ლა უწყებისა და ორგანოს წარმომადგენელს, სრულად გაითავისოს ოჯახური ძალადობის მძიმე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე და დროულად და სათანადოდ მოახდინოს რეაგირება ყველა შემოსულ შეტყობინებაზე.

მსხვერპლთა დაცვა და დახმარება

მსხვერპლთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა

<u>მიზანი №3</u>

მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების დანერგვა

ამოცანა

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამართლებრივი და სხვა ტიპის დახმარების განხორციელების მექანიზმების ამოქმედების გზით

საქმიანობა №3.1

- *შინაგან საქმეთა სამინისტროში „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება*
- *შემთხვევის აღრიცხვა და კომპიუტერიზაცია*
- *ოპერატორების მომზადება*

შემსრულებელი — შინაგან საქმეთა სამინისტრო:

სამინისტრომ 3.1 საქმიანობასთან დაკავშირებით გვაცნობა, რომ უზრუნველყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უფასო ცხელი ხაზის – 022 – 24 საათიან სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება; აღნიშნულ ნომერზე მუშაობენ სპეციალურად დატრენინგებული ოპერატორები, რომლებიც სწრაფ და პროფესიულ რეაგირებას ახდენენ ნებისმიერი ხასიათის შემოსულ ინფორმაციაზე. სამინისტროს ინფორმაციით, ამავე სამსახურში ხდება შემოსული ზარების კომპიუტერიზაცია მათი შემდგომი დამუშავების მიზნით და აღნიშნული სახის ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით თავს იყრის შინაგან საქმეთა სამინისტროს **საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში**, სადაც ხდება მათი აღრიცხვა და ანალიზი.

საქმიანობა №3.2

- *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „ცხელი ხაზის” ფუნქციონირება*

შემსრულებელი – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

კომენტარი: *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ამჯერადაც არ იკვეთება.*

გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა

მიზანი №4

ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფა

ამოცანა

ოჯახში ძალადობის **პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის** უზრუნველყოფისათვის, ფინანსური სახსრების გათვალისწინება სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქმიანობა №4.1

- *გეგმით და შესაგამისი კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ფინანსური წინადადებებისა და გაანგარიშების მომზადება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი თანხის გათვალისწინების შესახებ:*

  ა) თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისათვის შესაგამისი ღონისძიებების განხორციელება;

  ბ) თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმედებისათვის სტანდარტების შემუშავება.

შემსრულებელი:

- ფინანსთა სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის

(თავშესაფრის) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი, შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 24 მარტს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიგზავნა წერილი **საფინ**ანსო-ეკონომიკური გაანგარიშების მოთხოვნის თაობაზე (აღნიშნული ინფორმაცია ფინანსთა სამინისტრომ მოგვაწოდა 2008 წლის 16 ოქტომბერს).

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

კომენტარი: *როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ დრომდე არ წარუდგენია ფინანსთა სამინისტროსათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა* ***სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის საჭირო შესა****ბამისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ გაანგარიშებას სამინისტრო დროულად წარადგენს.*

დასასრულ, იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციასაც შევეხებით. იუსტიციის სამინისტრომ გვაცნობა, რომ მათი მხრიდან სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა:

1. საქართველოს შსს-ის მიერ წარმოდგენილ „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტს.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტს.

დასკვნა

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც დიდი დაგვიანებით დამტკიცდა, შეიძლება ითქვას, ცალკეული სამინისტროების მიერ კარგად შესრულდა და ეს ყველაზე მეტად ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩვენი შეფასებით, მათ მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციაში დეტალურად და თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი სამინისტროს მიერ გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალი და, შესაბამისად, იყო აღწერილი შესრულებული საქმიანობები. აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული უწყება ყველაზე მეტად იყო და არის ჩართული ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებებში და ყველაზე კარგად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. ასევე, ჩვენი შეფასებით, აღნიშნულმა უწყებამ სრული მოცულობით განახორციელა გეგმის ფარგლებში მასზე დაკისრებული ყველა საქმიანობა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი მიზნის პირველი (სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განხორციელებისათვის სამართლებრივი გაზის მომზადება) და მეორე საქმიანობა (არსებული სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი ლეგიტიმაცია), სამწუხაროდ, საერთოდ არ განხორციელებულა. აღნიშნული კი, როგორც შესაბამისი საქმიანობის კომენტარებშიც მივუთითეთ, ჩვენი შეფასებით, მნიშვნელოვანი კომპონენტია ოჯახში ძალადობის კანონის სრული იმპლემენტაციისათვის. სოციალური მომსახურების გარეშე აღნიშნული კანონის ეფექტურ განხორციელებაზე საუბრისგან თავს შევიკავებთ. სამოქმედო გეგმის მიზანი კი, სწორედ კანონის სრული და ეფექტური იმპლემენტაციისთვის ხელშეწყობაა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტიც, ვფიქრობთ, სწორედ სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას ითვალისწინებს, რის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისგანაც გეგმით გათვალისწინებულმა შემსრულებლებმა თავი შეიკავეს. სწორედ აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულიც კი არ არის.

ჩვენი შეფასებით, საკმაოდ პოზიტიურია ის, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა და უკვე დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები" და, ოფიციალური პასუხის შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაბამის საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებასაც ზემოხსენებული უწყება ფინანსთა სამინისტროს დროულად წარუდგენს, რაც ოჯახში ძალადობის კანონის იმპლემენტაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებული საქმიანობებიდან ისევ და ისევ გამოვყოფთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეულ მუშაობას, თუმცა, აქვე შევნიშნავთ,

რომ ამ კუთხით განხორციელებული ღონისძიებების უმრავლესობა არასამთავრობო სექტორის ბაზაზე გაკეთდა.

ნიშანდობლივია, რომ ცალკეული საქმიანობების შესრულების დროს გამოიკვეთა არაკოორდინირებული მოქმედებები სამინისტროების მხრიდან, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მოცემული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობას. როგორც სამოქმედო გეგმის მონიტორინგმა ცხადყო, რიგ შემთხვევებში, შემსრულებელი სახელმწიფო ორგანოები სრულად არ იყვნენ ჩართულები ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებაში და არც ფლობდნენ ინფორმაციას აღნიშნული კუთხით.[11] ყოველივე ეს კი მიუთითებს ოჯახში ძალადობის საკითხებზე მაკოორდინირებელი ორგანოს აუცილებლობაზე. ასეთი ორგანოს მნიშვნელობა და საჭიროება კარგად ჩანს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითზე. კერძოდ, 2006 წლის ივნისში შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. ფონდი კოორდინაციას უწევს სახელმწიფოს მხრიდან ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით განხორციელებულ საქმიანობებს, რის გამოც, ეფექტიანობა და მობილიზაცია ამ დანაშაულთან ბრძოლის მხრივ თვალსაჩინოა.

სახელმწიფო ფონდი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის თვალსაზრისით ეფექტურობასა და გაუმჯობესებას რომ მივაღწიოთ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან განისაზღვროს მაკოორდინირებელი ორგანო.

საქართველოს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა 2 თვეში დასრულდება, შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ ახალი 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმაზე, რომლის შემუშავებაშიც, ვფიქრობთ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვან ფუნქციას/როლს შეასრულებს.

[11] მაგალითად, არ მომზადებულა სოციალურ სამსახურთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობა არ მიუღია თავშესაფრის სტანდარტების მომზადებაში და ა.შ. იხილეთ კომენტარები საქმიანობების მიხედვით.

დანართები

დანართი №1

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N 406 2007 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ

1. “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი

დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის
2007 წლის 30 ივლისის N406 ადგენილებით

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა

N	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
1	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი ახალი ინსტიტუტებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	1.სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განხორციელე-ბისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია (არას-რულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში; იუსტიციის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში; ასევე, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები	2007-2008 წწ.
			2. არსებული სოცია-ლური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი ლეგიტიმაცია	საქართველოს მთავრობა	2007 წლის ბოლომდე
			3. თავშესაფრის სტან-დარტების დამტკიცება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ბავშვთა დაცვისა და დეინს-ტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია	2007 წლის ბოლომდე

ინფორმირებულობა პრობლემატიკის (ოჯახში ძალადობა) თაობაზე

N	მიზანი	ამოცანა	საქმიანოა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
2	ოჯახში ძალა-დობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საინფორმაციო-საგანმანათ-ლებლო საქმიანობის განხორციე-ლების გზით	საზოგადო-ების ინფორმი-რებულობა	1.ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება. ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური ტრენინგების მოწყობა მიზნობრივი ჯგუფებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომელთათვის, მოსამართლეებისათვის, ჯანდაცვის, განათლებისა და შესაბამისი სფეროს მუშაკთათვის	შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პროკურატურა და სასამართლო ორგანოები, დაინტერესებუ-ლი არასამთავრობო სექტორი, ხოლო, არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2007-2008 წწ.
			2. ევროსაბჭოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთის კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო/ საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება	დაინტერესებული არასამთავრობო სექტორი	

მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
მსხვერპლთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა

N	მიზანი	ამოცანა	საქმიანობები	შემსრულებელი	შესრულების ვადა
3	მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია, ოჯახში ალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანი-ზმების დანერგვა	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამართლებრივი და სხვა ტიპის დახმარების განხორციელების მექანიზმების ამოქმედების გზით	1. შინაგან საქმეთა სამინისტროში "ცხელი ხაზის" ფუნქციონირება; შემთხვევების აღრიცხვა და კომპიუტერიზაცია; ოპერატორების მომზადება	შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით	2007 წლის I ნახევრიდან (უკვე მუშაობს)
			2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში "ცხელი ხაზის" ფუნქციონირება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სა-მინისტრო	2007 წლის II ნახევრიდან

გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა

N	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
4	ოჯახში ძალა-დობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილი-ტაციისათვის გათვალისწი-ნებული ღონისძიებების უზრუნველყოფა	ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერ-პლთა დაცვისა და რეაბილიტაციის უზრუნველყო-ფისათვის ფინანსური სახსრების გათვა-ლისწინება სახელ-მწიფო ბიუჯეტში	1. გეგმით და შესაბამისი კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ფინანსური წინადადებებისა და გაანგარიშების მომზადება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი თანხის გათვალისწი-ნების შესახებ	ფინანსთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2007 წლის I ნახევარი
			a) თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2007-2008წწ.
			ბ) თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმე-დებისათვის სტანდარ-ტების შემუშავება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო	2007-2008წწ.

დანართი №2

Ე-01/230-08
16.10.08

0.ბ.ღ.ვ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 7/2/7-3477 03 10 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

მისამართი: თბილისი, კრილოვის ქ. №15

ბატონო გიორგი,

თქვენი 19.09.2008 წლის №გ-01/85-08 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ "ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 იელისს დამტკიცებული № 406 განკარგულების შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ზვიად თავართქილაძე
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

0114, თბილისი, ბ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 411068, ტელ./ფაქსი: (+995 32) 411017, (+995 32) 272934, ელ.ფოსტა: info@pol.ge

ქ-01/230-08

დანართი

1. "ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 30 ივლისს დამტკიცებული № 406 განკარგულების მე-2 მიზნის პირველი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული იქნა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც დარიგდა საზოგადოებაში. საქმიანობის დახვეწისა და სიახლეების ეფექტურად დანერგვის მიზნით, პერმანენტურად მიმდინარეობს სპეციალური ტრეინინგები მიზნობრივი ჯგუფისათვის. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება სამინისტროს მხრიდან დამატებითი ფინანსური ძალისხმევის გარეშე ხელს უწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცებთან მჭიდრო თანამშრომლობას. მათ შორის აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარის" მიერ ორგანიზებული ტრეინინგები, შსს აკადემიაში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს" მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, სადაც ინსტრუქტორებად მოწვეულნი იყვნენ ლატვიელი ექსპერტები. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის" და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით გამართული სემინარი ჩეხი ექსპერტების მიერ ქართველი პოლიციის თანამშრომლებისათვის. 2008 წლის 7-11 ივლისს საქართველოს შსს აკადემიაში ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული ტრეინინგი თემაზე "სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიება," რომელიც მოიცავდა ოჯახური ძალადობის საკითხებსაც. მომზადება გაიარა შსს აკადემიის ექვსმა ინსტრუქტორმა, ექვსმა გამომძიებელმა და ერთმა პატრულ-ინსპექტორმა.

ასევე გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საბაზისო კურსში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, დამცავი და შემაკავებელი ორდერი;
- ოჯახში ძალადობის კომპონენტები;
- ოჯახში ძალადობის სავარაუდო შედეგები;

- ოჯახში ძალადობის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.

2. "ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 30 ივლისს დამტკიცებული № 406 განკარგულების მე-3 მიზნის პირველი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს შინაგან სამეთა სამინისტრომ უზრუნველყო საქრთველოს მთელ ტერიტორიაზე უფასო ცხელი ხაზის - "022" - 24 სათიან სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება. აღნიშნულ ნომერზე მუშაობენ სპეციალურად დატრეინინგებული ოპერატორები, რომლებიც სწრაფ და პროფესიულ რეაგირებას ახდენენ ნებისმიერი ხასიათის შემოსულ ინფორმაციაზე. ამავე სამსახურში ხდება შემოსული ზარების კომიუტერიზაცია მათი შემდგომი დამუშავების მიზნით. აღნიშნული სახის ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით თავს იყრის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, სადაც ხდება მათი აღრიცხვა და ანალიზი.

ამასთან გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრის მინიმალური სტანდარტების შემუშავების პროცესში.

ასევე გაწვდით 2007-2008 წლებში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს:

მოცემულ პერიოდში გამოცემული შემაკავებელი ორდერების ჯამური რაოდენობაა 725, მათგან მსხვერპლად წარმოდგენილია 654 ქალი და 71 მამაკაცი. აღნიშნული 725 შემაკავებელი ორდერიდან 13 შემთხვევაში ჩართულია არასრულწლოვანი.

დანართი №3

ე.-ტაბაგარი

ჟ-01/226-03
16.10.08

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 04-01/9735
თქვენს № ჟ-01/83-08

„15" ოქტომბერი 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 19 სექტემბრის №ჟ-01/83-08 წერილი და გაცნობებთ, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის №406 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 11 მარტის №01-10/05/2882 წერილით წარმოდგენილ იქნა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 24 მარტს გაგზავნილია №04-01/2782 წერილი.

ამასთან, გეგზავნებათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზემოაღნიშნული წერილის ასლი.

დანართი: „1" ფურცელი.

პაპუნა პეტრიაშვილი
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ჯ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442, E-mail: info@mof.ge

01/226-08

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 04-01/2782 „24" მარტი 2008 წ.

თანმდ. № 01-10/05/2882

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 11 მარტის №01-10/05/2882 წერილით წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ" და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის განმარტებით ბარათში „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად მითითებულ უნდა იქნეს შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება.

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაუბრუნდება პროექტის განხილვას.

პაპუნა პეტრიაშვილი
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0105, ე. აღმაშენებლის ქ. № 16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: www.mof.ge
16 Georgiasli Street., Tbilisi 0105, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442, E-mail: www.mof.ge

დანართი №4

Ჟ.01/228.08
16.10.08

ა.ბაღდავაძე

ანგარ

საქართველოს
მენინარალური პროკურატურა
Office of the Prosecutor General of Georgia

№ 13102008/72 200 ქ. თბილისი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2008 წლის 19 სექტემბრის №g-01/80-08 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს გენერალური პროკურატურა პასუხისმგებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით, რაც გამოიხატება ოჯახში ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალური ტრეინინგების მოწყობაში პროკურატურის მუშაკთათვის. საქართველოს გენერალური პროკურატურის ტრეინინგ ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ოჯახური ძალადობის თემისათვის მიძღვნილი ტრეინინგის პროგრამა. ტრეინინგი გათვლილია პროკურორებისათვის, რომლებიც წარმოდგენილ იქნებიან ყველა რაიონული პროკურატურიდან. აღნიშნული ტერინინგი ჩატარდება 2008 წლის ბოლომდე, იმ ვადის ფარგლებში რაც განსაზღვრულია სამოქმედო გეგმით.

პატივისცემით,

გივი ბაღდავაძე

საერთაშორისო ურთიერთობათა
სამმართველოს უფროსი

0133 თბილისი, გორგასლის ქ. 24; ტელ.:+(995 32) 40 51 42; ფაქსი +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge
24, Gorgasali str., Tbilisi 0133, Georgia. Tel.: +(995 32) 40 51 42; Fax: +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge

დანართი №5

ჟ-01/220-08
2.10.08
ახალ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/03-7308 02. 10 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 19 სექტემბრის №ბ-01/82-08 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 განკარგულებით დამტკიცებული – ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოგაწოდეთ 2008 წლის 17 მარტის №01/23/03-2028 წერილით. დანართის სახით გიგზავნით აღნიშნული წერილის ასლს. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით საქმიანობა არ განხორციელებულა.

დანართი: 2 ფ.

პატივისცემით,

შალვა კვინიხიძე
საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტის უფროსი

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-76, ფაქსი: 75-82-76, ელფოსტა: Intlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-76, Fax: 75-82-76, E-MAIL: Intlawdep@justice.gov.ge

03/01-160
(03/01-161)
(03/01-132)

01/23/03-2028
17-03-2008

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 25 თებერვლის №g-04/61-(01)-08 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 განკარგულებით დამტკიცებული - ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, გაცნობებთ, რომ 2007 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ აღნიშნული გეგმის შესაბამისად გატარდა შემდეგი ღონისძიებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტმა სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარა შემდეგ კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

პატივისცემით,

შალვა კვინიხიძე
საერთაშორისო სამართლებრივი
ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი

17.03.08

დანართი №6

ქ-01/817-08
30.09.08

ახალ

№ 01-18/04/105599
26 09 " 2008 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2008 წლის 19 სექტემბრის №გ-01/84-08 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განხორციელებულ ღონისძიებათა 2007-2008 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის № 183/6 ბრძანებით დამტკიცდა "ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტნადარტები", ამასთან მომზადდა შესაბამისი ცვლილებები რათა მომხდარიყო თავშესაფარის შექმნისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფა, მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდგომ აღნიშნული საკითხი დროებით გადაიდო.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საკითხი უახლოეს მომოვალში დადებითად გადაწყდება.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის
უფროსი — დავით პაველიაშვილი

თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30; ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge
ტელ.: (+995 32) 38 70 71; ფაქსი: (+995 32) 38 12 35

30, Pekini st., 0160, Tbilisi, E-Mail: info@moh.gov.ge
Tel.: (+995 32) 38 70 71; fax: (+995 32) 38 12 35

დანართი №7

7-01/216-08
30.09.08

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 16 – 14/12140

29 09 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 23 სექტემბერს შემოვიდა თქვენი №გ-01/81-08 19.09.2008 წ. მომართვა, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის №406 განკარგულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მოწოდების საკითხს.

მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული გეგმის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით.

გეგმით გათვალისწინებულ პირველ ვალდებულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, რაც ეხება აღნიშნულ სფეროში, სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, გაცნობებთ, რომ ჩვენი ინიციატივით, რაიმე კანონქვემდებარე დოკუმენტის შემუშავება არ მომხდარა, არც სხვა უწყებებისგან მიგვიღია რაიმე საკანონმდებლო დოკუმენტი ან არსებულთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ერთობლივად დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით, ყველა რაიონიდან თითო-თითო ინსპექტორ-გამომძიებელი და დეტექტივი, ასევე, ქ. თბილისის ხუთი რაიონის საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი, რომლებმაც მოისმინეს კურსი ბავშვთა განვითარების თავისებურებებისა და პედაგოგიკის საკითხების მნიშვნელობაზე ბავშვთა აღზრდის პროცესში, ასევე, ძალადობა განცდილ და კანონთან კოფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის საკითხებში.

თბილისი 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 52; ტელეფონი: 438821, ფაქსი: 438814 / 438835
www.mes.gov.ge

აღნიშნულმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მსგავსი სახის ინტერაქტიული ტრენინგები, სადაც თეორიული, პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვით, ხდება ბავშვის აღზრდის თავისებურებების ახსნა, ასევე, იმ ზეგავლენების მნიშვნელობაზე საუბარი, რომელიც აყალიბებს ბავშვის ცნობიერებას, მეტად ეფექტურია სფეროში ჩართული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ცოდნის ამაღლებისთვის. ამგვარი კუთხით დანახული არასრულწლოვანთა პრობლემები (ძალადობა ოჯახში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, ე.წ. "ქუჩის ბავშვები", მზრუნველობამოკლებული ბავშვები) გაუადვილებს მათ არასრულწლოვნებთან და მათ ოჯახებთან მუშაობასა და კომუნიკაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს დაგეგმილი აქვს მსგავსი სახის ტრენინგები ჩაუტაროს ქვეყნის მასშტაბით, ყველა რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის - მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს წარმომადგენელს, ასევე საჯარო სკოლათა პედაგოგებს.

ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი სრულმასშტაბიანი კამპანია საშუალებას მისცემს ყველა უწყებისა და ორგანოს წარმომადგენელს სრულად გაითავისოს ოჯახური ძალადობის მძიმე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე და დროულად და სათანადოდ მოახდინოს რეაგირება ყველა შემოსულ შეტყობინებაზე.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

თამარ გოლუბიანი
ბავშვზე ზრუნვის სამსახურის უფროსი